

სიცოცხლის დაზღვევა

გურამ მირზაშვილი

– რა დაგიფიცო, მითხარი! – მკვირცხლად ჰკითხა ბორკილშეხსნილმა იემუამ.
– თუნდაც საკუთარი სიცოცხლე! – უპასუხა პროკურატორმა, – სწორედაც

დროულია, – ბეწვზე ჰკივია, იცოდე!
– ხომ არ გგონია, ბეწვზე შენ დაჰკივდე, იგემონ? – დაეკითხა ტყვე, – თუ ასე

ფიქრობ, ძალიან ცდები! პილატე შეკრთა და კბილებში გამოსცრა:
– მე ისიც ძალმიძს, ეგ ბეწვი გადავჭრა!
– ამაშიც ცდები, – სახე მოიჩრდილა და გულლიად გაუღიმა ტყვემ, – დამეთანხმები,

ბეწვის გადაჭრაც იმასვე ძალუმს, ვინაც დაჰკივდა. მიხეილ ბულგაკოვი “ოსტატი და მარგარიტა”

განვიხილოთ სიცოცხლის დაზღვევის სახეობები, რომლებიც შემდეგი დამახასიათებელი ნიშნით არიან გაერთიანებულნი: დაზღვევის ობიექტი ყოველთვის არის ადამიანი და დაზღვეული რისკი ყოველთვის განპირობებულია მისი სიცოცხლის ხანგრძლივობის განუსაზღვრელობით. მოვიყვანოთ ორი ტიპიური მაგალითი.

მაგალითი 1. ადამიანი თავისი ცხოვრების აქტიური შრომის ფაზაში იმყოფება და მისი შემოსავალი მისთვის და მისი ოჯახისთვის გარკვეულ ცხოვრების დონეს უზრუნველყოფს. სამწუხაროდ, არსებობს იმის შესაძლებლობა, რომ ეს ადამიანი უეცრად (უდროოდ!) გარდაიცვლება და მარჩენალს მოკლებული ოჯახის ცხოვრების დონე მკვეთრად დაეცემა. ამ მაგალითში საქმე გვაქვს ოჯახის ცხოვრების დონის (მატერიალური მდგომარეობის) მკვეთრი გაუარესების რისკთან, რომელიც მარჩენალის სიცოცხლის ხანგრძლივობის განუსაზღვრელობით (ამ შემთხვევაში – უდროოდ გარდაცვალების შესაძლებლობით) არის განპირობებული. ამგვარი რისკის თავიდან ასაცილებლად მარჩენალს შეუძლია შეიძინოს ისეთი სიცოცხლის დაზღვევა, რომლის პირობების თანახმად, მისი უდროოდ გარდაცვალების შემთხვევაში, ოჯახი მიიღებს ისეთ ფულად ანაზღაურებას, რომელიც გარკვეული დროის განმავლობაში მას ჩვეულ ცხოვრების დონეს შეუნარჩუნებს.

მაგალითი 2. კვლავ დავუშვათ, რომ ადამიანი აქტიურად შრომობს და მას გარკვეული ცხოვრების დონე გააჩნია. არსებობს (საბედნიეროდ დიდი) შესაძლებლობა იმისა, რომ ეს პიროვნება უდროოდ არ გარდაიცვლება და ისეთ ასაკს მიაღწევს (მაგალითად საპენსიოს), როდესაც აქტიურად ვეღარ იმუშავენ და, ამის გამო, მისი მატერიალური მდგომარეობა გაუარესდება. ამ შემთხვევაში საქმე კვლავ მატერიალური მდგომარეობის გაუარესების რისკთან გვაქვს, მაგრამ ამჯერად ეს რისკი განპირობებულია არა უდროოდ გარდაცვალების საშიშროებით, როგორც ეს წინა მაგალითში იყო, არამედ პირიქით – გარკვეული (ხანდაზმული) ასაკის მიღწევის შესაძლებლობით. ბუნებრივია, რომ პიროვნებამ წინასწარ (აქტიური შრომის პერიოდის განმავლობაში) იზრუნოს მომავალზე და სწორედ ამგვარი ზრუნვის ერთერთი ყველაზე ეფექტური საშუალებაა ისეთი სიცოცხლის დაზღვევის შეძენა, რომლის პირობების თანახმად ხანდაზმულ ასაკს მიღწეული დაზღვეული საკმაოდ სოლიდურ თანხას მიიღებს. ეს თანხა შეიძლება ერთიანად იყოს მიღებული ან განვადებით და ამ უკანასკნელ შემთხვევაში საქმე ფაქტიურად ე.წ. კერძო საპენსიო სქემასთან გვექნება, რაზეც

უფრო დაწვრილებით ქვემოთ ვისაუბრებთ. ამ ტიპის დაზღვევას ხშირად “ დაგროვებადს” უწოდებენ, ხოლო ყოფილი საბჭოთა კავშირში იგი როგორც “დაბრუნებადი” დაზღვევა იყო ცნობილი.

შესაძლებელია, რომ ამგვარმა შეხედულებამ ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობაზე (როგორც განუსაზღვრელ, შემთხვევით სიდიდეზე) ჩვენში ერთგვარი შინაგანი პროტესტი გამოიწვიოს. ზოგიერთს შეიძლება მიაჩნდეს, რომ იგი ზედმეტად გამარტივებული და ვულგარულიც კი არის. მართლაც, ეპიგრაფში მოყვანილი ციტატიდან ჩანს, რომ ყოველ შემთხვევაში მისთვის, ვინც სიცოცხლე “ბეწვზე დაჰკიდა” მისი ხანგრძლივობა ზუსტად არის განსაზღვრული და ამ თვალსაზრისით არავითარ რისკს არ წარმოქმნის. შეიძლება ეს მართლაც ასე იყოს, მაგრამ მკითხველი დაგვეთანხმება, რომ ადამიანისთვის ამის შესახებ არაფერია ცნობილი და სიცოცხლის ხანგრძლივობა ჩვენთვის მართლაც არ არის წინასწარ განსაზღვრული.

საერთოდ, ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობა (და მასთან ერთად სიცოცხლის დაზღვევა) საკმაოდ ფაქიზი სასაუბრო თემაა, თუმცა ბევრ ქვეყანაში უკვე დიდი ხანია რეალურად უყურებენ ამ საკითხს და სიცოცხლის დაზღვევასაც აქტიურად იყენებენ. მოვიყვანოთ რამდენიმე ფაქტი.

როგორც ჩანს, თანამედროვე ტიპის დაზღვევის პრაქტიკა “პრემიების საფუძველზე” შუა საუკუნეების იტალიური ქალაქებიდან (რომი, ვენეცია, პიზა, ფლორენცია, გენუა) მოდის (დაახლოებით 1250 წლიდან). პირველი ზუსტად დათარიღებული სადაზღვევო ხელშეკრულება 1347 წელს გენუაში შედგა და იქვე, 1430 წელს, დაიდო სიცოცხლის დაზღვევის კონტრაქტიც, რომელიც მონებსა და ორსულ ქალებს ეხებოდა. პირველი სიცოცხლის დაზღვევის კომპანია ინგლისში - 1762 წელს, ხოლო აშშ-ში - 1759 წელს შეიქმნა.

მსოფლიოში ერთერთი ყველაზე მსხვილი გადამზღვეველის - Swiss Re-ს მონაცემებით, 1997 წელს საპრემიო გადასახადის სახით მოზიდულ იქნა:

მთელ მსოფლიოში - 1231798 მლნ. აშშ დოლარი სიცოცხლის დაზღვევაში და 896873 მლნ. აშშ დოლარი არასიცოცხლის დაზღვევაში;

ევროპაში - 373676 მლნ. აშშ დოლარი სიცოცხლის დაზღვევაში და 295520 მლნ. აშშ დოლარი არასიცოცხლის დაზღვევაში;

აზიაში - 474564 მლნ. აშშ დოლარი სიცოცხლის დაზღვევაში და 145478 მლნ. აშშ დოლარი არასიცოცხლის დაზღვევაში.

ანალიტიკოსების აზრით, ამგვარი მონაცემები იმაზე მეტყველებს, რომ ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში (და ბევრ განვითარებად ქვეყანაშიც) სიცოცხლის დაზღვევა დღესდღეობით გარკვეულ ბუმს განიცდის, ხოლო არასიცოცხლის დაზღვევა – გარკვეულ სტაგნაციას. საქართველოში, ამ თვალსაზრისით, საწინააღმდეგო სურათი გვაქვს – შეიძლება ითქვას, რომ შედარებით განვითარებული არასიცოცხლის (ძირითადად სავალდებულო) დაზღვევის ფონზე სიცოცხლის დაზღვევა საერთოდ არ არსებობს. ამას, ცხადია, მრავალი მიზეზი აქვს: მოსახლეობის ძირითადი ნაწილის მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა, ქვეყანაში არსებული ეკონომიკური და ფინანსური პრობლემები, ფინანსური (კერძოდ ფასიანი ქაღალდების) ბაზრის განუვითარებლობა, არასრულყოფილი საკანონმდებლო და ნორმატიული ბაზა, დაბეგვრის არასწორი სისტემა, საინვესტიციო პრობლემები, სტატისტიკური აღრიცხვიანობის სრული მოშლა და სხვა. მიუხედავად ჩამოთვლილი პრობლემებისა, რომელთა საბოლოოდ გადაჭრას საკმაოდ დრო დასჭირდება,

სადაზღვევო კომპანიები, ახლო მომავალში, ალბათ მაინც გადადგავენ პირველ ნაბიჯებს სიცოცხლის დაზღვევის განვითარების მიმართულებით და უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ მათ ინიციატივას გამოეხმაუროს სადაზღვევო თვალსაზრისით ინფორმირებული და აქტიური მოსახლეობა. სამწუხაროდ, დღესდღეობით, ჩვენი მოსახლეობა აშკარად არადაამაკმაყოფილებლად არის ინფორმირებული ამ საკითხში. ჩვენი ცოდნა ამ სფეროში ძირითადად ყოფილ საბჭოთა კავშირში (და შესაბამისად, საქართველოში) დაგროვილ გამოცდილებას ეფუძნება, სადაც დაზღვევის სხვა.

სახეობებთან ერთად სიცოცხლის დაზღვევაც იყო წარმოდგენილი. საბაზრო ურთიერთობათა არარსებობის პირობებში იგი იმდენად დამახინჯებული, შეზღუდული და არაეფექტური იყო, რომ ხშირად შედარებით ასაკოვან ადამიანებსაც კი (მითუმეტეს ახალგაზრდებს) მასზედ საკმაოდ ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ.

საქართველოს სადაზღვევო ბაზრის განვითარების დღევანდელ ეტაპზე, მოსახლეობის ინფორმირება და საერთოდ, სადაზღვევო კულტურის ამაღლება (თუ გნებავთ, დაზღვევისადმი უნდობლობის გადალახვა) ერთერთი პრიორიტეტული ამოცანაა. წინამდებარე პუბლიკაციაში, რომელიც სხვა მსგავს პუბლიკაციებთან ერთად ამ ამოცანის გადაჭრას ემსახურება, ჩვენ შევეცდებით მოკლედ გავაცნოთ მკითხველს, თუ რას წარმოადგენს სიცოცხლის დაზღვევა, დაზღვევის რა სახეობები არსებობს ბაზარზე და რა სარგებელი მოაქვს მათ ადამიანისათვის.

რას ნიშნავს სიცოცხლის დაზღვევა?

ტერმინი “სიცოცხლის დაზღვევა” დამკვიდრებულია მთელ მსოფლიოში და ჩვენშიც, თუმცა ცხადია, რომ მხოლოდ უშუალოდ და პირდაპირირ ტერმინზე დაყრდნობით ამ დაზღვევის შინაარსზე მსჯელობა არასწორი იქნებოდა. ჯერ ერთი თავისთავად ადამიანის სიცოცხლის დაზღვევა (ანუ თავისთავად გარდაცვალების რისკის დაზღვევა) შეუძლებელია თუნდაც იმიტომ, რომ შეუძლებელია ადამიანის სიცოცხლის შეფასება და შესაბამისად – ფულით კომპენსირება. ეს რომ ასე არც იყოს, მაინც არასწორი იქნებოდა ამ ტერმინის მიხედვით დაზღვევაზე ისეთი წარმოდგენის შექმნა, როგორც გვექმნება, მაგალითად, ტვირთების ან ქონების დაზღვევაზე შესაბამისი დასახელებების მიხედვით. მართლაც, დაზღვევის ამ უკანასკნელ სახეობებში სადაზღვევო შემთხვევა (ანუ შემთხვევა, რომელიც სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის საფუძველი ხდება) მხოლოდ მაშინ შეიძლება დადგეს, როდესაც ტვირთი ან ქონება დაზიანდება, დაიკარგება ან განადგურდება და არავითარ სხვა შემთხვევაში. ამავე დროს, როგორც ეს ზემოთ მოყვანილ მე-2 მაგალითში ვნახეთ, ტიპიურია სიცოცხლის დაზღვევის ისეთი სახეობები, რომლებშიც სადაზღვევო შემთხვევა ადამიანის ასაკის მიღწევის და არა გარდაცვალების გამო დგება (და უნდა ითქვას, რომ სწორედ ამგვარი სახეობები ითვლება სიცოცხლის დაზღვევის ძირითად სახეობებად). ამ მოსაზრებებიდან გამომდინარე, ალბათ შეიძლება სიცოცხლის დაზღვევის შინაარსი შემდეგი სიტყვებით გამოვხატოთ:

სიცოცხლის დაზღვევის დროს ხდება დაზღვეული პიროვნების ან/და მისი ოჯახის (ნათესავების, ახლობლების, თანამშრომლების, საქმიანი პარტნიორების) მატერიალური (ფინანსური) მდგომარეობის (ჩვეული ცხოვრების დონის) გაუარესების რისკის დაზღვევა (გაუარესებისაგან დაცვა), რომელიც განპირობებულია დაზღვეულის საცოცხლის ხანგრძლივობის განუსაზღვრელობით.

კიდევ ერთხელ გაუსვათ ხაზი იმას, რომ სიტყვა “განუსაზღვრელი” გულისხმობს როგორც ხანმოკლე, ასევე ხანგრძლივი სიცოცხლის შესაძლებლობას. სხვათა შორის, ხანგრძლივი

სიცოცხლისათვის დამახასიათებელი ფინანსური რისკის დაზღვევის მიზანს სპეციალისტები, ნახევრად ხუმრობით, შემდეგნაირად ახასიათებენ :

უზრუნველყოთ, რომ ადამიანის სიცოცხლე მისივე საარსებო სახსრების “სიცოცხლეზე” უფრო ხანგრძლივი არ აღმოჩნდეს.

თუ ამ ფრაზაში სიტყვებს გადავალაგებთ, მივიღებთ (უკვე ყოველგვარი ხუმრობის გარეშე), რომ ხანდაზმულობის მიღწევის დაზღვევის მიზანია: უზრუნველყოთ, რომ ადამიანის საარსებო სახსრების “სიცოცხლე” მისივე სიცოცხლეზე უფრო ხანმოკლე არ აღმოჩნდეს.

მოკლევადიანი სიცოცხლის დაზღვევა

გადავიდეთ სიცოცხლის დაზღვევის კონკრეტული სახეობების განხილვაზე. დავიწყეთ სიცოცხლის მოკლევადიანი დაზღვევით, რომელიც, თავისი ბუნებით, სიცოცხლის დაზღვევის სახეობათა შორის, ყველაზე მეტად ჰგავს არასიცოცხლის დაზღვევას. სხვათაშორის, სწორედ ამ მიზეზით, სპეციალისტები მას “წმინდა რისკობრივს” უწოდებენ.

სხვადასხვა ვითარებაში, მოკლევადიან სიცოცხლის დაზღვევას სხვადასხვა მიზნებისთვის იყენებენ. განვიხილოთ რამდენიმე კლასიკური გამოყენებას.

ოჯახის დაცვა. დაზღვევის სქემა უაღრესად მარტივი და გასაგებია. ფაქტიურად იგი პირველი მაგალითის განხილვისას იყო აღწერილი.

პიროვნება (დაზღვეული) დებს სადაზღვევო ხელშეკრულებას სადაზღვევო კომპანიასთან (მზღვეველთან), რომლის მიხედვითაც მისი კანონიერი მემკვიდრენი (მოსარგებლენი), მისი გარკვეული დროის (ტიპიურად 1-ან 5 წლამდე) განმავლობაში გარდაცვალების შემთხვევაში, მიიღებენ სადაზღვევო ანაზღაურებას – თანხას, რომელიც სადაზღვევო ხელშეკრულებაში წინასწარ არის დასახელებული.

საბედნიეროდ, ახალგაზრდა ან საშუალო ასაკის ადამიანისთვის რამდენიმე წლის განმავლობაში გარდაცვალების ალბათობა ძალზედ მცირეა. შესაბამისად, მოკლევადიანი სიცოცხლის დაზღვევა უაღრესად იაფი და ხელმისაწვდომია. განვითარებულ ბაზრებზე ეს დაზღვევა განსაკუთრებით ახლად შექმნილი ოჯახების მარჩენალთა შორის არის პოპულარული – ამ გზით ისინი, მცირე გადასახადის საფასურად, იმის რწმენას იძენენ, რომ უბედურების შემთხვევაში მათი ოჯახები რამდენიმე წლის განმავლობაში მაინც იქნებიან უზრუნველყოფილნი.

საკრედიტო სიცოცხლის დაზღვევა. საყოველთაოდ ცნობილია, რომ განვითარებულ ქვეყნებში ბანკიდან კერძო პირის მიერ სესხის აღება ჩვეულებრივი ამბავია. სახლის, აგარაკის, მანქანის, ავეჯის შეძენისას ან სხვა რაიმე მნიშვნელოვანი ხარჯის გაწევისას, მყიდველს, როგორც წესი, ურჩევნია ბანკიდან სესხის აღება და ამ სესხის თანდათან, განვადებით დაფარვა, ვიდრე ერთბაშად დიდი თანხის გაღება მიუხედავად იმისა, გააჩნია თუ არა მას ეს თანხა. არსებობს საკმაოდ გრძელვადიანი სესხები, მაგრამ საშუალოდ, სესხის დაფარვის ვადა 2-3 წელს შეადგენს.

სამწუხაროდ, არსებობს იმის შესაძლებლობა, რომ სესხის ამღები გარდაიცვლება სესხის დაფარვის პერიოდის განმავლობაში ისე რომ სესხის ნაწილი დაუფარავი დარჩება. ასეთ შემთხვევაში მნიშვნელოვანი ზარალი შეიძლება მოუვიდეს ბანკს (თუ სესხის დარჩენილი ნაწილი საბოლოოდ არ დაიფარა) ან გარდაცვლილის ოჯახს (თუ სესხის დაფარვა მას დაეკისრა).

ამ რისკის თავიდან ასაცილებლად იყენებენ მოკლევადიან სიცოცხლის დაზღვევას. სადაზღვევო პერიოდი, ასეთ შემთხვევაში სესხის დაფარვის პერიოდს ემთხვევა, დაზღვეული არის სესხის ამღები, ხოლო მოსარგებლე – ბანკი. დაზღვევის ამ სახეობის სიახვის გამო, დაზღვეული ვერც კი გრძნობს, რომ სესხის ნაწილ-ნაწილ გასტუმრებისას იგი დამატებით იხდის სადაზღვევო პრემიას (დაზღვევის საფასურს), ვინაიდან ეს უკანსკნელი, სესხთან შედარებით, ძალზედ უმნიშვნელო თანხას წარმოადგენს.

საკვანძო პიროვნების სიცოცხლის დაზღვევა. საიდუმლოს არ წარმოადგენს, რომ, როგორც წესი, რაიმე ფირმაში თუ სხვა დაწესებულებაში არის რამდენიმე საკვანძო პიროვნება, რომლებზეც დიდ წილად დამოკიდებულია საერთო საქმის წარმატება. სავალდებულო არ არის, რომ საკვანძო პიროვნება ხელმძღვანელი იყოს – უბრალოდ ეს შეიძლება იყოს სპეციალისტი, რომელიც გამოირჩევა თავისი ცოდნა-განათლებით, ნიჭით, მონდომებით, ენერჯით, ინტუიციით და სხვა. ხშირად ხდება, რომ ფირმა თვითონ ამზადებს ამგვარ სპეციალისტს, რისთვისაც საკმაოდ მნიშვნელოვან ფულს ხარჯავს.

ცხადია, რომ საკვანძო პიროვნების უდროოდ გარდაცვალებამ (რაც, სამწუხაროდ, შესაძლებელია) ფირმას ორმაგი ზარალი შიძლება მოუტანოს:

- მოსალოდენელია, რომ იმ უბანზე, სადაც ეს პიროვნება მუშაობდა, ჩავარდნა მოხდეს და ამის გამო ფირმამ ზარალი ნახოს;
- საჭირო გახდება ახალი პიროვნების მოძიება და მომზადება, რასაც ახალი ხარჯი მოჰყვება.

ამ შემთხვევაშიც, რისკის თავიდან ასაცილებლად, გამოიყენება საკვანძო პიროვნებების სიცოცხლის მოკლევადიანი დაზღვევა, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ "დაზღვევის დამკვეთის" (დამზღვევის) ანუ მზღვეველთან სადაზღვევო ხელშეკრულების დამდების (და შესაბამისად, სადაზღვევო პრემიის გადამხდელის) როლში ფირმა გამოდის. ბუნებრივია, რომ ასეთ შემთხვევაში, მოსარგებლეს ფირმა იქნება, რომელიც საკვანძო პიროვნების დაკარგვის გამო მიღებულ ზარალს სადაზღვევო ანაზღაურებით დაფარავს. კანონის თანახმად, ამგვარი დაზღვევის განსახორციელებლად, სავალდებულოა დაზღვეული პიროვნების წერილობითი თანხმობის მიღება.

ჯგუფური დაზღვევა. მოკლევადიანი სიცოცხლის დაზღვევის ჯგუფური ვარიანტი გამოიყენება ისეთ დაწესებულებებში სადაც შედარებით ბევრი დასაქმებული მუშაობს. ისევე როგორც საკვანძო პიროვნების დაზღვევის შემთხვევაში, დამზღვევის როლში აქაც დამსაქმებელი გამოდის. სადაზღვევო კომპანიას გადაეცემა დაზღვეულ თანამშრომელთა სია და სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში რომელიმე მათგანის გარდაცვალების შემთხვევაში გარდაცვლილის ოჯახი სადაზღვევო ანაზღაურებას ღებულობს.

ტიპიურია, რომ ამგვარი სადაზღვევო დაფარვა დასაქმებულსა და დამსაქმებელს შორის დადებულ შრომით ხელშეკრულების ერთერთ ისეთ პუნქტს წარმოადგენს, რომელიც მნიშვნელოვნად ხელს უწყობს დამსაქმებლის პრესტიჟის ამაღლებას და შესაბამისად, მაღალკვალიფიციური კადრების მოზიდვას.

სავარაუდოა, რომ დასაქმებულთა მოკლევადიანი ჯგუფური დაზღვევა (და საერთოდ, მოკლევადიანი სიცოცხლის დაზღვევა) სწორედ ის სახეობაა, რომელიც დღევანდელ საქართველოს პირობებში ერთერთი პირველი მოიკიდებს ფეხს ჩვენ სადაზღვევო ბაზარზე.

გრძელვადიანი და უვადო სიცოცხლის დაზღვევა

ოჯახის დაცვის თვალსაზრისით მოკლევადიანი სიცოცხლის დაზღვევა დროებითი საშუალებაა – სადაზღვევო პერიოდის (ანუ რამდენიმე წლის) გასვლის შემდეგ მარჩენალის შესაძლო გარდაცვალებით განპირობებული ფინანსური რისკი კვლავ დაუფარავი აღმოჩნდება. ცხადია, პიროვნებას შეუძლია კიდევ ერთი მოკლევადიანი დაზღვევა შეიძინოს და ოჯახი შემდგომი ხანმოკლე პერიოდის განმავლობაში დაიცვას. საერთოდ, არ არის გამორიცხული, რომ პიროვნებამ პერიოდილად (მაგალითად ყოველწლიურად) ახალ-ახალი მოკლევადიანი სიცოცხლის დაზღვევა შეიძინოს და ამ გზით ოჯახი ხანგრძლივი პერიოდის (ან მთელი სიცოცხლის) განმავლობაში დაიცვას.

დაზღვევის ამგვარი გეგმა მართლაც შესაძლებელია, თუმცა მას ერთი დიდი ხარვეზი გააჩნია – მოკლევადიანი სიცოცხლის დაზღვევა, რომელიც უაღრესად იაფი და ეფექტურია ახალგაზრდა დაზღვეულისთვის, ამ უკანასკნელის ასაკის ზრდასთან ერთად სულ უფრო და უფრო ძვირი და არაეფექტური ხდება. ამის მიზეზი, ცხადია, იმაში მდგომარეობს, რომ დაწყებული 28-30 წლის ასაკიდან, ადამიანის წლოვანების მატებასთან ერთად, შესამჩნევად და თანაც სულ უფრო და უფრო მზარდი ტემპით იზრდება მისი გარდაცვალების (მაგალითად ერთი წლის განმავლობაში) ალბათობაც. სადაზღვევო კომპანია, რომელიც დაზღვევის საფასურს (სადაზღვევო პრემიას) სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით განსაზღვრავს, იძულებულია, დაზღვეულის ასაკის ზრდასთან ერთად, სადაზღვევო პრემიაც გაზარდოს, მაგალითად: ერთწლიანი დაზღვევა 60 წლის მამაკაცს დაახლოებით 15-ჯერ უფრო ძვირი დაუჯდება ვიდრე 25 წლის ახალგაზრდას. თუ სადაზღვევო თანხა საკმაოდ სოლიდურია (მაგალითად 100000 ა.შ.შ. დოლარი ან მეტი), ასაკოვანმა დაზღვეულმა შეიძლება ვერც კი შეძლოს შესაბამისი წლიური პრემიის გადახდა და თუ შეძლო, ერთი წლის შემდეგ მას კიდევ უფრო დიდი თანხის გადახდა მოუწევს და ა.შ. თუ ამას დავეუმატებთ, რომ ჯანმრთელობის გაუარესების გამო ასაკოვან დაზღვეულს შეიძლება ბევრად უფრო დიდი პრემიის გადახდა მოუხდეს, გასაგები გახდება, რომ მოკლევადიანი დაზღვევის მრავალჯერადი გამოყენება ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში დაზღვევის მიზნით აშკარად არაეფექტურია.

სწორედ ამ მიზეზების გამო, ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში, ინგლისში შემოიღეს გრძელვადიანი სიცოცხლის დაზღვევა, რომელიც შემდგომში არადაგროვებადი სიცოცხლის დაზღვევის ძირითად სახეობად იქცა.

გრძელვადიან სიცოცხლის დაზღვევას იგივე დანიშნულება აქვს რაც მოკლევადიანს – სადაზღვევო პერიოდის (ამჯერად 20, 30 ან 40 წლის) განმავლობაში დაზღვეულის გარდაცვალების შემთხვევაში წინასწარ დასახელებული მოსარგებლე (როგორც წესი მემკვიდრე) იღებს სადაზღვევო ხელშეკრულების დადების დროს შეთანხმებულ სადაზღვევო თანხას. ამასთან ერთად, გრძელვადიანი სიცოცხლის დაზღვევა გაცილებით უფრო რთული და შინაარსიანი ფინანსური ინსტრუმენტია ვიდრე მოკლევადიანი.

ძირითადი აღმოჩენა, რომელიც საფუძვლად დაედო გრძელვადიან სიცოცხლის დაზღვევას, პრემიის დანიშვნისა და გადახდის ახალი წესი იყო. გასაგებია, რომ შეუძლებელია 40-წლიანი დაზღვევის შესაბამისი პრემიის ერთჯერადად გადახდა და საჭიროა მისი განვადება. უფრო მნიშვნელოვანი ის არის, რომ თავიდან დანიშნული განვადებული (მაგალითად ყოველწლიური) პრემია მთელი სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში უცვლელი რჩება მიუხედავად დაზღვეულის ასაკის (და შესაბამისად გარდაცვალების რისკის) მატებისა და მისი ჯანმრთელობის შესაძლო გაუარესებისა. თავიდან, როდესაც დაზღვეული შედარებით ახალგაზრდაა, ეს ყოველწლიური პრემია აღემატება იგივე ასაკში შექმნილი ერთწლიანი დაზღვევის პრემიას, მაგრამ სამაგიეროდ შემდგომში, როდესაც დაზღვეული ხანდაზმულ ასაკს მიაღწევს, ეს პრემია მნიშვნელოვნად ნაკლები ხდება შესაბამისი ერთწლიანი დაზღვევის პრემიაზე. გრძელვადიანი დაზღვევის შესაბამისი მთლიანი სადაზღვევო

პრემიის ამგვარი (თანაბრად) გადანაწილება მთელ სადაზღვევო პერიოდზე მიმზიდველი და ხელსაყრელი აღმოჩნდა, ვინაიდან შედარებით ახალგაზრდა, აქტიურ შრომით პერიოდში მყოფი ადამიანისთვის გაცილებით უფრო ადვილია მოკლევადიან დაზღვევასთან შედარებით უფრო მაღალი პრემიის გადახდა, ვიდრე ხანდაზმულისთვის – იგივე მოკლევადიანი დაზღვევის შექმნა. ყველაფერ ამას კიდევ ერთი გარემოება ემატება.

საბედნიეროდ, დაზღვეულთა დიდი უმრავლესობა სადაზღვევო ხელშეკრულების დადების მომენტიდან კიდევ დიდხანს ცოცხლობს. გასაგებია, რომ პრემიების სახით შემოსული თანხების დაზღვეულთა გარდაცვალებამდე (ან სადაზღვევო პერიოდის დასრულებამდე) გაყინვა არანაირი თვალსაზრისით არ არის გამართლებული და სადაზღვევო კომპანიების საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად ნაწილს სწორედ მოზიდული თანხების დაბანდება წარმოადგენს. დაბანდების შედეგად მიღებული მოგების ნაწილი ყოველწლიური პრემიის შემცირებისთვის გამოიყენება, რაც გრძელვადიან დაზღვევას კიდევ უფრო აიაფებს და მიმზიდველს ხდის. გრძელვადიანი სიცოცხლის დაზღვევის კონტრაქტები ხშირად ითვალისწინებს საპრემიო გადასახადების გადახდას სადაზღვევო პერიოდზე უფრო მოკლე ვადაში. მაგალითად, დაზღვევა შეიძლება 40-წლიანი იყოს, მაგრამ პრემიების გადახდა მხოლოდ პირველი 25 ან 30 წლის განმავლობაში ხდებოდეს. ასეთ შემთხვევაში, პრემიის გადახდის პერიოდის დასრულების შემდეგ, დაზღვევა ე.წ. “გადახდილ დაზღვევად” იქცევა. შეიძლება ისეც მოხდეს, რომ დაზღვეული პრემიის გადახდას 30 წლის განმავლობაში აპირებდა, მაგრამ 20 წლის შემდეგ აღმოჩნდა, რომ პრემიის გადახდის გაგრძელება მას აღარ შეუძლია. ასეთ შემთხვევაში, სადაზღვევო კომპანია, დაზღვეულთან შეთანხმებით, შეცვლის თავიდან დადებულ სადაზღვევო კონტრაქტს და აქცევს მას “გადახდილ დაზღვევად”. ამის შედეგად სადაზღვევო პერიოდი (40 წელი) უცვლელი დარჩება, ხოლო სადაზღვევო თანხა დაიკლებს არასრულად გადახდილი პრემიის შესაბამისად.

უვადო სიცოცხლის დაზღვევა გრძელვადიანი დაზღვევის ზღვრულ ფორმას წარმოადგენს. იგი დაზღვეულის გარდაცვალების მომენტამდე მოქმედებს, ხოლო პრემიების გადახდა, როგორც წესი, დროის განსაზღვრული პერიოდის (20, 25, 30 წლის) განმავლობაში ხდება. დაზღვეულს სურს, რომ თავისი ვალდებულება აქტიური შრომითი პერიოდის განმავლობაში მოიხადოს და შემდგომ გადახდილი სადაზღვევო პოლისის მფლობელი გახდეს, რომელიც, ფაქტიურად, მის მიერ დატოვებული მემკვიდრეობის მნიშვნელოვან ნაწილს შეიძლება წარმოადგენდეს. სხვებთან შედარებით, მემკვიდრეობის დატოვების ასეთ საშუალებას მრავალი უპირატესობა გააჩნია, რომელთაგანაც უმთავრესი ის არის, რომ მემკვიდრეები მიიღებენ საკმაოდ სოლიდურ სადაზღვევო თანხას ყოველგვარი დაბეგვრისა და ზედმეტი ფორმალობის გარეშე. როგორც ვხედავთ, გრძელვადიანი (და უვადო) სიცოცხლის დაზღვევა კაპიტალის დაბანდებისა და ფინანსური დაგეგმვის ერთ-ერთ მიმზიდველ საშუალებას წარმოადგენს. ალბათ ეს არის იმის მიზეზი, რომ განვითარებულ ქვეყნებში იშვიათია ადამიანი, რომელსაც ამგვარი დაზღვევა არ გააჩნია.

ბოლოს კიდევ ორი გარემოება აღვნიშნოთ.

უვადო სიცოცხლის დაზღვევის კონტრაქტში შეიძლება გათვალისწინებულ იქნას სადაზღვევო თანხის ნაწილის დაზღვეულის გარდაცვალებამდე გაცემა. ეს შეიძლება მაგალითად მაშინ მოხდეს, როდესაც დაზღვეული მძიმედ დაავადდება და მის მკურნალობას მნიშვნელოვანი თანხა დაჭირდება. სადაზღვევო თანხის ნაწილის წინასწარ გაცემის შემთხვევაში, შემდგომში ეს ნაწილი ძირითად სადაზღვევო თანხას გამოეჭვითება.

არ არის სავალდებულო, რომ სადაზღვევო თანხა ძალზედ დიდი იყოს – ყოველ ადამიანს მისთვის ხელმისაწვდომ თანხაზე შეუძლია დაეზღვიოს. “მცირეთანხიანი” და უაღრესად იაფი უვადო

სიცოცხლის დაზღვევის ტიპიურ მაგალითს ე.წ. “რიტუალური დაზღვევა” წარმოადგენს. დაზღვეულის გარდაცვალებისას, ოჯახი მთლიანად თავისუფლდება დაკრძალვის ხარჯებისაგან და უფრო მეტიც – როგორც წესი, სადაზღვევო კომპანია უზრუნველყოფს ყოველგვარი რიტუალური მომსახურების ორგანიზებას წინასწარ შეთანხმებულ სადაზღვევო თანხის ფარგლებში.

დაგროვებადი სიცოცხლის დაზღვევა

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, მოკლევადიანი და უვადო რისკობრივი სიცოცხლის დაზღვევა დიდი პოპულარობით სარგებლობს მოსახლეობაში. გრძელვადიან (საშუალოვადიან) რისკობრივ სიცოცხლის დაზღვევას რაც შეეხება, იგი ცალკე იშვიათად გამოიყენება და უმეტესად გრძელვადიანი (საშუალოვადიანი) დაგროვებადი სიცოცხლის დაზღვევის ნაწილის სახით იყიდება. საქმე იმაშია, რომ დროის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, უდროოდ გარდაცვალებით გამოწვეული ფინანსური პრობლემების გარდა ადამიანს მრავალი სხვა ისეთი პრობლემა გააჩნია, რომლის გადაჭრა მნიშვნელოვან დანახარჯებს და შესაბამისად წინასწარ მომზადებას მოითხოვს. როგორც წესი, ადამიანს წინასწარ შეუძლია ივარაუდოს თუ როდის მოუწევს ამათუბიმ მნიშვნელოვანი ხარჯის გაწევა, მაგალითად: შვილის უმაღლეს სასწავლებელში სწავლისას, მისი დაახლოებით 20-25 წლის ასაკში დაოჯახებისას, 60 ან 65 წლის ასაკიდან პენსიაში გასვლისას და სხვა.

ამგვარი მოვლენებისთვის ფინანსურად წინასწარ მომზადების ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ საშუალებას ე.წ. ასაკის მიღწევაზე დაზღვევა წარმოადგენს. ამ დაზღვევის პირობის თანახმად დაზღვეული ხანგრძლივი დროის განმავლობაში პერიოდულად იხდის სადაზღვევო პრემიას (აგროვებს!) და სადაზღვევო ხელშეკრულების დადებისას დათქმული ასაკის მიღწევის შემთხვევაში იღებს ასევე წინასწარ შეთანხმებულ სადაზღვევო თანხას. ხშირად ისეც ხდება, რომ ერთი პიროვნება აზღვევს მეორეს, ანუ დამზღვევი და დაზღვეული სხვადასხვა ადამიანია, მაგალითად: მამა (დამზღვევი) აზღვევს შვილს (დაზღვეულს), რომელიც ამჟამად 5 წლისაა და როდესაც 18 წლის ასაკს მიაღწევს პრესტიჟულ უნივერსიტეტში სწავლისათვის საჭირო თანხის მფლობელი გახდება, რომელსაც ან ერთიანად ან განვადებით (სტიპენდიის სახით) მიიღებს.

სამწუხაროდ არსებობს იმის შესაძლებლობა, რომ დაზღვეული ვერ მიაღწევს წინასწარ დათქმულ (მაგალითად საპენსიო) ასაკს. იმისათვის, რომ სადაზღვევო დაფარვა ამ შემთხვევაშიც იყოს უზრუნველყოფილი, ასაკის მიღწევაზე დაზღვევას გრძელვადიან სიცოცხლის დაზღვევასთან აერთიანებენ. გაერთიანების შედეგად მიიღება შერეული დაზღვევა, რომელსაც გრძელვადიან დაგროვებად სიცოცხლის დაზღვევას უწოდებენ და რომელიც უზრუნველყოფს სადაზღვევო დაფარვას როგორც დაზღვეულის მიერ გარკვეული ასაკის მიღწევის, ასევე ამ ასაკის მიღწევამდე გარდაცვალების შემთხვევაში.

შრომითი აქტიურობის პერიოდში ადამიანის მიერ ასაკის მიღწევის ალბათობა საბედნიეროდ შეუდარებლად დიდია გარდაცვალების ალბათობაზე. ეს იმას ნიშნავს, რომ სადაზღვევო ხელშეკრულებათა დიდი უმრავლესობა სადაზღვევო შემთხვევის დადგომით (დაზღვეულის არ გარდაცვალებით!) დასრულდება და სადაზღვევო კომპანია ვალდებული იქნება გასცეს საკმაოდ სოლიდური სადაზღვევო თანხა. ცხადია, რომ ამის გამო ასაკის მიღწევაზე დაზღვევა არ შეიძლება იყოს იაფი, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სადაზღვევო თანხა მთლიანად საპრემიო შენატანების ხარჯზე გროვდება. უვადო სიცოცხლის დაზღვევის განხილვისას ჩვენ უკვე აღვნიშნეთ სადაზღვევო კომპანიის მიერ საპრემიო შენატანების სახით მოზიდული სახსრების ინვესტირების მნიშვნელობა. ასაკის მიღწევაზე დაზღვევის შემთხვევაში, როდესაც საპრემიო შენატანები გაცილებით უფრო სოლიდურია, მათი ინვესტირება კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ხდება. ხელშეკრულების დადებისას

განისაზღვერება ე.წ. წლიური მოგების გარანტირებული საპროცენტო განაკვეთი და სადაზღვევო კომპანია ვალდებულია დაზღვეულის სახელზე შექმნილ სადაზღვევო რეზერვს ყოველწლიურად დარიცხოს ამ საპროცენტო განაკვეთის შესაბამისი თანხა. ხაზი გავუსვით იმას, რომ ხანგრძლივი სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში სადაზღვევო კომპანია არავითარ შემთხვევაში არ შეამცირებს გარანტირებულ საპროცენტო განაკვეთს იმის მიუხედავად, რომ ზოგიერთ წელს, არახელსაყრელი საინვესტიციო გარემოს ან სხვა რაიმე მიზეზის გამო, რეალური მოგება ნავარაუდევზე ნაკლები შეიძლება აღმოჩნდეს. იმ შემთხვევაში თუ პირიქით – რეალური მოგება ნავარაუდევზე მეტი აღმოჩნდება, სადაზღვევო კომპანია ჭარბ მოგებას დაზღვეულს გაუნაწილებს ანუ მის რეზერვს დამატებით თანხას დაარიცხავს.

ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს ანგარიშგების პროცედურა, რომელიც დაგროვებად სიცოცხლის დაზღვევაში გამოიყენება. შესაბამისი სადაზღვევო პოლისი საკმაოდ რთულ და შინაარსიან ფინანსურ დოკუმენტს წარმოადგენს – მასში, მთლიანი სადაზღვევო პერიოდისთვის, გაწერილია დაზღვეულის სახელზე შექმნილი სადაზღვევო რეზერვის ზრდის დინამიკა. ამგვარად, პოლისის მფლობელმა წინასწარ იცის თუ მომავალში, დროის ნებისმიერ მომენტში, რა თანხა იქნება დაგროვებული მის ანგარიშზე (თუ თავად შეასრულებს სადაზღვევო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს და პრემიას სრულად და დროულად გადაიხდის). თუ ამას დავუმატებთ, რომ სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში სადაზღვევო კომპანია პერიოდულად აწვდის დაზღვეულს რეალურ ინფორმაციას სადაზღვევო რეზერვის მდგომარეობის შესახებ, გასაგები გახდება, რომ დაზღვევის ეს სახეობა მომავლის ფინანსური დაგეგმვის სანდო ინსტრუმენტს წარმოადგენს.

აღნიშნოთ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება. ხანგრძლივი სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში ადამიანს შეიძლება შეეცვალოს გეგმები და გარკვეული თანხა სადაზღვევო პერიოდის დასრულებამდე დაჭირდეს. ასეთ შემთხვევაში მზღვევლი მას რამდენიმე ვარიანტს შესთავაზებს. კომპანიას შეუძლია გამოისყიდოს პოლისი დამზღვევისაგან ანუ შეწყვიტოს დაზღვევა და ამ მომენტისათვის დაგროვებული რეზერვი თითქმის მთლიანად დააბრუნოს. დამზღვევს შეუძლია ისესხოს საჭირო თანხა კომპანიისაგან (თუ ეს თანხა რეზერვს არ აღემატება) ანუ არ შეწყვიტოს დაზღვევა და სესხი გარკვეული დროის შემდეგ დააბრუნოს. დამზღვევს ასევე შეუძლია სხვაგან ისესხოს საჭირო თანხა და გარანტად სადაზღვევო პოლისი გამოიყენოს.

არც ის არის გამორიცხული, რომ სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში დამზღვევმა ნავარაუდევზე უფრო დიდი თანხის დაგროვება ისურვოს. ასეთ შემთხვევაში იგი გარკვეული მომენტიდან უფრო დიდ პრემიას გადაიხდის, ხოლო სადაზღვევო კომპანია მას რეზერვის ზრდის ახალ განრიგს შეუდგენს.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ განვითარებულ სადაზღვევო ბაზარზე არსებული თანამედროვე სადაზღვევო პროდუქტები უაღრესად მოქნილ და მიმზიდველ ფინანსურ ინსტრუმენტებს წარმოადგენს. დამზღვევს მაგალითად შეუძლია

- შეცვალოს სადაზღვევო თანხა და/ან მისი მიღების წესი, პრემიის სიდიდე და/ან მისი გადახდის წესი, მოსარგებლე;
- გარდაქმნას დაზღვევის ერთი სახეობა მეორეში;
- დროებით შეაჩეროს და შემდგომ განაახლოს დაზღვევა;

- მონაწილეობა მიიღოს ინვესტირების პოლიტიკის შერჩევაში და შესაბამისად გაინაწილოს მზღვეველთან ამასთან დაკავშირებული ფინანსური რისკი.

არ შეიძლება განსაკუთრებით არ აღინიშნოს დაგროვებადი სიცოცხლის დაზღვევის მნიშვნელოვანი კერძო სახეობა – ე.წ. საპენსიო დაზღვევა. იმ ქვეყნებშიც კი, სადაც სახელმწიფო პენსია ხანდაზმული ადამიანის გარკვეულ ცხოვრების დონეს უზრუნველყოფს, ხშირია შემთხვევები, როდესაც აქტიური შრომითი პერიოდის განმავლობაში პიროვნება დამატებით პენსიაზე ზრუნავს. ამისათვის მას ორი ძირითადი საშუალება გააჩნია.

პირველი საშუალება (ე.წ. „დამსაქმებლის პენსია“) იმაში მდგომარეობს, რომ დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის დადებულ შრომით ხელშეკრულებაში შეიძლება გათვალისწინებულ იქნას დამსაქმებლის მიერ დასაქმებულის საპენსიო ანგარიშზე გარკვეული თანხის პერიოდულად ჩარიცხვა, რის შედეგადაც, პენსიაზე გასვლის შემდეგ, ეს უკანასკნელი ჩარიცხული თანხების შესაბამის დამატებით პენსიას მიიღებს. ასეთ სქემას “ფიქსირებული შენატანების სქემა” ეწოდება. სხვა შემთხვევაში (ე.წ. “ფიქსირებული შემოსავლის სქემაში”), შრომით ხელშეკრულებაში შეიძლება დაფიქსირდეს მომავალი დამატებითი პენსიის ოდენობა და აქედან გამომდინარე განისაზღვროს შესაბამისი პერიოდული საპრემიო შენატანები. ეს ორივე სქემა სადაზღვევო პრინციპებს ემყარება, ხშირად სადაზღვევო კომპანიის მეშვეობით ხორციელდება და თავისი შინაარსით საპენსიო ასაკის მიღწევაზე დაზღვევის ჯგუფურ ვარიანტს წარმოადგენს იმ განსხვავებით, რომ სადაზღვევო თანხა არა ერთიანად, არამედ განვადებით გაიცემა.

დამატებითი პენსიის მიღების მეორე საშუალება ის არის, რომ პიროვნება კერძო საპენსიო სქემაში გაერთიანდეს. ამ შემთხვევაში იგი თვითონ, საკუთარი სახსრებიდან იხდის მისთვის ხელმისაწვდომ საპენსიო შენატანებს და მომავალში ამ შენატანების შესაბამის პენსიას იღებს. ყოველი კერძო საპენსიო სქემის ერთ-ერთ აუცილებელ რგოლს სადაზღვევო კომპანია წარმოადგენს, რომელიც ფაქტიურად ასაკის მიღწევაზე დაზღვევას ახორციელებს.

დასასრულს შევნიშნოთ, რომ განვითარებულ ქვეყნებში, როგორც წესი, პიროვნებას გრძელვადიანი დაგროვებადი სიცოცხლის დაზღვევა გააჩნია, რომელიც მისი მთლიანი სადაზღვევო პაკეტის “ღერძს” წარმოადგენს. ცხოვრების სხვადასხვა პერიოდში ამ ღერძს პერსონალური დაზღვევის სხვადასხვა მოკლევადიანი სახეობა ერთვის, მაგალითად: უბედური შემთხვევისაგან დაზღვევა, სამოგზაურო დაზღვევა, ჯანმრთელობის დაზღვევა, კრიტიკული დაავადებებისაგან დაზღვევა და სხვა. განვითარებულ ქვეყნებში, ამგვარი სადაზღვევო პაკეტის “სიმდიდრე” პიროვნების სოციალური მდგომარეობის შეფასების ერთ-ერთ ძირითად კრიტერიუმს წარმოადგენს. უნდა ვიმედოვნოთ, რომ ჩვენს ქვეყანაშიც დადგება ის დრო, როდესაც დაზღვევა საზოგადოების სოციალური და ფინანსური სტაბილურობის ერთ-ერთი მთავარი გარანტი გახდება.